

კოალიციურმა ძალებმა სირიაში 105 სარაკეტო იერიში მიიტანეს



პენტაგონის ოფიციალური განცხადებით, აშშ-მა, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა სირიაში ქიმიური იარაღის მწარმოებელ ობიექტებზე 105 სარაკეტო იერიში მიიტანეს. აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს

განცხადებით, ამ სპეცოპერაციით სირიის ხედისუფლების ქიმიური იარაღის პროგრამას “რამდენიმე წლით” ბოლო მოეღო.

პენტაგონში თვრიან, რომ სირიას კიდევ დარჩა რესურსი ქიმიური იარაღის წარმოებისთვის, თუმცა მის ინდუსტრიას სერიოზული ზიანი მიაღდა. გარდა ამისა, აშშ-ის თავდაცვის უწყებაში აცხადებენ, რომ აშშ-ის სამხედროები რუს კორეგებთან მუდმივ კონტაქტზე იმყოფებოდნენ ავიაიერიშის განხორციელებამდე, მისი მიმდინარეობის დროსა და შემდეგ, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ იერიში რუსეთთან შეთანხმებული ან კოორდინირებული იყო.

“როგორც იცით, უკანასკნელ თვეებში მუდმივად მოქმედებს კონფლიქტების თავიდან აცილების მექანიზმი. ის მუშაობდა დარტყმამდე, მის შემდეგაც და მომავალშიც იმუშავებს,” – განაცხადა აშშ-ის შეიარაღებული ძალების შტაბების მეთაურების კომიტეტის წარმომადგენელმა გენერალ-დეიტენანტმა კენეტ მაკენზიმ.

14 აპრილს, გამთენიისას, დაახლოებით 4 საათზე, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა სარაკეტო იერიში მიიტანეს დამასკოსა და ჰომსის პროვინციაზე. ეს იყო კოალიციის პასუხი სირიის დედაქალაქის შემოგარენში, დუმაზე მიტანილ ქიმიურ შეტევაზე, რაშიც ისინი ასადის სამხედროებს

ადანაშაურებენ. მთავარ სამიზნეებად იქცა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი დამასკოში, რომელიც სავარაუდოდ დაკავშირებულია ქიმიური იარაღის შექმნასთან, ასევე ორი სანწყობი პროვინცია ჰომსში. BBC-ის ცნობით, მოკავშირეების იერიში სირიაში რუსეთის პოზიციებს არ შეხებია.

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა სირიაში ავიერიში დადებითად შეაფასა და “მისია შესრულებულად” გამოაცხადა.

“იდეალურად შესრულებული დარტყმა გასურ ღამეს. მადლობა საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს სიბრძნისა და მათი შესანიშნავი შეიარაღებული ძალების სიძლიერისათვის. უკეტსი რეზურტატი არ შეიძლება ყოფილიყო! მისია შესრულებულია. ამაყი ვარ ჩვენი შესანიშნავი შეიარაღებული ძალებით, რომლებიც ასე სწრაფად, მიღიარდობით სწორად დახარჯული დოღარების შემდეგ, გახდებიან საუკეთესონი, რომლებიც ოდესმე ყოფილან ჩვენს ქვეყანაში. არავინ და არაფერი შეგვედრება ჩვენ!” – წერს ტრამპი Twitter-ში.

თურქეთის პრეზიდენტ რეჯეპ ტაიპ ერდოღანსა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ტერეზა მეის შორის სატელეფონო საუბარი გაიმართა. ინფორმაციას ამის შესახებ თურქეთის მხარე ავრცელებს. სატელეფონო საუბრის დროს მეიმ ერდოღანს ბაშარ ასადის რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული სამხედრო ოპერაციის შედეგები გააცნო. თურქეთის რიდერმა ხაზი გაუსვა, რომ მსოფლიო წინ უნდა აღუდგეს ბაშარა ასადის ძაღაღობას, რომელსაც ის ახორციელებს როგორც ქიმიური, ასევე ჩვეულებრივი იარაღის მეშვეობით. მან ასევე განაცხადა, რომ სირიაში სტაბილურობისა და ხანგრძლივი მშვიდობის მისაღწევად აუცილებელია კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირება.